

ଓରେଣ୍ଡା  
NONFICTION



კრენ

ვანიე

ფსიქოანაზიზის  
შესაჭადი

ალენ ვანიე  
ფსიქოანალიზის შესავალი

Alain Vanier  
UNE INTRODUCTION À LA PSYCHANALYSE

ფრანგულიდან თარგმნა გიგა მამინაშვილმა

© Armand-Colin, Paris, 2010 pour la seconde édition

Armand-Colin est une marque de Dunod Éditeur, 5, rue Laromiguière, 75005 Paris  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017, 2022  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-773-2

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

შესავალი..... 7

### **პირველი ნაციონალური აღმოჩენა**

1. არაცნობილი ფრონტები.....	11
2. უროგიდი.....	15
2.1 ფორმირების წლები .....	15
2.2 კვლევები ისტერიის შესახებ .....	19
2.3 ფლისი და ფინქონალიზის დაბადება .....	24
2.4 ფანტაზმი და ოდიპოსი.....	27
3. უროგიდისანული არაცნობილი .....	30
3.1. სიზმარი და არაცნობიერის ფორმაციები.....	30
3.2 თეორია სექსუალობის შესახებ .....	39
3.3 ნარცისიზმი.....	45
4. გეორე ტოპიკი .....	49
4.1 სიკვდილის ლტოლვა.....	49
4.2 იდენტიფიკაცია.....	56
4.3 მე, იდი და ზე-მე.....	58

### **მეორე ნაციონალური მოძრაობა**

1. უროგიდის გარემოცვა.....	65
1.1 დისიდენტები .....	65
1.2 თანამებრძოლები .....	69
2. უროგიდის შემდეგ .....	74
2.1 ანა ფრონტი (1895-1928) .....	74
2.2 მელანი კლანი (1882-1960).....	78
2.3 დონალდ ვ. ვინიკოტი (1896-1971).....	81
2.4. ჟაკ ლაკანი (1901-1981).....	83

## **მასამა ნაცილი. ფილონალიზის ფუნდამენტური კონცეპტიკი**

1. არაცნობილი.....	109
1.1 მეტაფსიქოლოგია .....	110
1.2 არაცნობიერი სტრუქტურირებულია, როგორც ენა.....	114
1.3 განდევნა .....	116
2. განმეორება (რეპეტიცია) .....	120
2.1 Tuché et automaton .....	121
3. ტრანსფერი.....	123
3.1 სუბიექტი, რომლის მიღმაც მოიაზრებენ ცოდნას, და ანალიტიკოსის სურვილი .....	126
4. ინფანტილური სექსუალობა.....	128
4.1 განვითარების სტადიები .....	129
4.2 ეროგენული ზონები.....	131
4.3 ოიდიპოსის კომპლექსი და მამის საკითხი.....	135
4.4 სიმბოლური მამა, წარმოსახვითი მამა, რეალური მამა .....	137
5. ლტოლვა .....	141

## **მაოთხე ნაცილი. ფილონალიზიკური**

### **ეპურნალობის კლინიკური და პრაქტიკული ასპექტები**

1. ეცვრზე, ფილოზე, პერვერსია.....	147
1.1 კლინიკური სტრუქტურის ცნება.....	147
1.2 ნევროზი და პერვერსია .....	157
1.3 ფსიქოზები .....	168
2. ზოგიერთი შენიშვნა ფილონალიზიკური პრაქტიკის შესახებ.....	171
2.1 ჩარჩო, დისპოზიცია და ფსიქოანალიზის ფუნდამენტური წესი ...	171
2.2 მკურნალობა .....	175
3. ფილონალიზიკოსის ფორმირება.....	179
3.1 ფრონიდის „თვითანალიზი“ .....	179
3.2 ფსიქოანალიტიკოსის ფორმირება – მსჯელობის საგანი .....	181
3.3 ფსიქოანალიზური მოძრაობა და ფსიქოანალიზის მდგომარეობა საფრანგეთში დღეს .....	191
4. პრაქტიკულური საკითხები.....	197
დასკვნა.....	201

## შესავალი

ვინაიდან ფსიქოანალიზი, უპირველეს ყოვლისა, არის მეთოდი, რომელიც ყოველთვის ეჭვქვეშ აყენებს კლასიკურ დიქტომიას თეორიასა და პრაქტიკას შორის, პარადოქსულია მკითხველისთვის შესავლის სწორედ ზოგიერთი თეორიული კონცეპტის განხილვის გზით შეთავაზება. ფსიქოანალიზი არ გულისხმობს თეორიისა და პრაქტიკის დაპირისპირებას, ისევე როგორც პრაქტიკა არ ნიშნავს მისთვის თეორიის ხისტად გამოყენებას. როგორც ლაკანი ამბობდა, ფსიქოანალიზი, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკის თეორიაა – პრაქტისი (praxis), რადგან მასში თეორიის პრაქტიკული გამოყენება ყოველთვის აღმოჩენასთან, სიახლესთან არის დაკავშირებული, რაც მისი ტრანსმისიის სირთულეს განაპირობებს. ფსიქოანალიზის მოძღვრების სხვისთვის გადაცემა მხოლოდ თეორიულ სწავლებამდე არ დაიყვანება. ეს საკითხი ფრონდსა და მის მონაცემებსაც აფიქრებდა და, მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული წესებისა, ფსიქოანალიზური ფორმაცია დღემდე შეუთავსებელია წინასწარ განწერილ პროგრამასა ან ტრანსმისიის ტიპურ სქემასთან, რაც გასაგებს ხდის ამ საკითხის რეტროსპექტული კვლევის მიმართ არსებულ ინტერესს. მიუხედავად ამისა, ფსიქოანალიზი ისნავლება და ამას, უპირველეს ყოვლისა, ანალიტიკური მკურნალობის დროს მიღებული გამოცდილება განაპირობებს. დროთა განმავლობაში ანალიტიკოსის პირადი ანალიზი ფსიქოანალიტიკოსის ფორმირების ფუნდამენტური ნაწილი გახდა, რადგან, როგორც ფრონდი ამბობდა, მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი არაცნობიერის არსებობის რელურობაში დარწმუნება, რაც თეორიული სწავლების არც ერთი ფორმით არ მიიღწევა.<sup>1</sup> საქმე ეხება ცოდნას, თუმცა ფსიქოანალიზური ცოდნა გულისხმობს არაცნობიერ ცოდნას, რომლის პირდა-

<sup>1</sup> S. Freud, préface à „Jeunesse à l'abandon“ de A. Aichorn, (1925f), trad. R.Lainé, OCF.P. (oeuvres complètes de Freud.psychanalyse)XVII, Paris, PUF, 1992, P.162; G.W. (Gesammeltes Werke) XIV.

პირი გზით წვდომის ყოველგვარი მცდელობა წინააღმდეგობას აწყდება. ის არ არის სისტემური ბუნების და მისი შეცნობა, აღმოჩენა მხოლოდ ამ ცოდნის გამოვლინებებში არის შესაძლებელი.

აქედან გამომდინარე, ფსიქოანალიზური კონცეპტების განხილვა არ შეიძლება იმ შინაგანი მოძრაობის გათვალისწინების გარეშე, რომელმაც ისინი შექმნა, რის გამოც ამ წიგნში უპირატესობა მიენიჭა ფსიქოანალიზური კონცეპტების განხილვას მათი აღმოჩენის დინამიკისა და ქრონოლოგიის გათვალისწინებით. ეს დინამიკა განასახიერებს გზას, რომელიც ყველამ, ვინც ანალიტიკური პრაქტიკით არის დაკავებული, თავიდან უნდა განვლოს და აღმოაჩინოს. ის უკიდურესად ინდივიდუალურია.

ფსიქოანალიზი მოიცავს სხვადასხვა მიმდინარეობას, რომლებიც ქმნის ნაშრომების, პუბლიკაციებისა და სემინარების ანგარიშგასაწევ ერთობლიობას. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, ფსიქოანალიზს გააჩნია ერთი, ყველა მიმდინარეობისთვის საერთო და ფუნდამენტური ბირთვი – ფრონდის შემოქმედება. ჩვენ სწორედ მისი შემოქმედების განხილვით დავიწყებთ, შემდეგ კი იმ ავტორებზე ვისაუბრებთ, რომლებმაც ფსიქოანალიზი „ხელახლა აღმოაჩინეს“ მომავალი თაობებისთვის და წარუშლელი კვალი დაატყვეს მას. მე შევეცადე, სტუდენტებისთვის (და არა მარტო მათთვის) განკუთვნილ ნაშრომში წარმომედგინა საქმაოდ ვრცელი პანორამა, ოლონდ თანამედროვე ავტორთა გამოკლებით, რომლებსაც დაინტერესებული მკითხველი ბიბლიოგრაფიის სიაში იპოვის.

აქვე მსურს, ჩემი ტექსტის გულისყურით წაკითხვის, შენიშვნებისა და შესწორებისთვის, ასევე მეგობრული მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო უოელ დორს, გი ლერესსა და უაკ სედას. მადლობას ვუხდი აგრეთვე კლერ ჰენოს გამომცემლობა „ნათანიდან“ (Nathan), კლარა კუნდს და დომინიკ-პლატი ზეითუნს ხელნაწერის აღდგენისა და შესწორებისთვის, ხოლო სოფი გრივოს – ნაშრომის ხელხალა გამოცემის ინიციატივისათვის.

პირველი ნაწილი  
ფრონტიანული აღმოჩენა



## 1. არაცნობიერი ფროიდამდე

არსებობდა თუ არა არაცნობიერი ფსიქოანალიზამდე? ჰენრი ელენბერგერი განასხვავებს, ერთი მხრივ, არაცნობიერის, როგორც „ცნების ისტორიას“, ხოლო მეორე მხრივ, „არაცნობიერის პრაქტიკულ გამოყენებას“. ამავე დროს ის აღნიშნავს, რომ „პრაქტიკულ და, უპირველეს ყოვლისა, თერაპიულ გამოყენებას წინ უძლოდა არაცნობიერის ცნების ინტუიციური წვდომა და მასზე დაფუძნებული კვლევები“.<sup>2</sup> არაცნობიერი, რომელსაც ფროიდი იკვლევს, ფსიქოანალიზამდე უკვე არსებული ცნების გაღრმავების მცდელობაა თუ, მიუხედავად ლექსიკური იდენტურობისა, საქმე რადიკალურად ახალ კონცეპტს ეხება?

ალბათ, შეუძლებელია განვსაზღვროთ, როდის წარმოიშვა თითოეული განსხვავებული პრაქტიკა, რომელიც თერაპიული მიზნით იყენებდა არაცნობიერს, ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით. განკურნების ეს პრიმიტიული ტექნიკები ისეთ მეთოდებს მიმართავდა, როგორებიცაა: ჰიპნოზი, ტრანსი, ეგზორციზმი, და ა.შ. აქ ნათლად ჩანს მღვდლისა და ექიმის როლისა და მნიშვნელობის საერთო ფესვები. დაავადების გამომწვევ მიზეზად ცოცხალი მთლიანობის ორად გახლეჩა, სხეულსა და სულს შორის წარმოქმნილი ბზარი, სულის მიერ სხეულის დატოვება ან ავადმყოფის სხეულში უცხო სხეულის ჩასახლება (შეპყრობილობა) მიიჩნეოდა. დარღვეული მთლიანობის აღდეგენა განსაკუთრებული ქმედებების განხორციელებას მოითხოვდა. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში დაავადებას ექსტერიორულ, ანუ გარე ძალების, ზემოქმედებასთან აკავშირებდნენ.

ელენბერგერის აზრით, თერაპიის ეს პრიმიტიული ფორმები სამი ფუნდამენტური ნიშნით ხასიათდება: მკურნალს, როგორც

<sup>2</sup> H. F. Ellenberger, *Histoire de la découverte de l'inconscient*, trad. J. Feisthauer, Paris, Fayard, 1994 p.27.

ექიმის წინაპარს, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ფუნქცია ჰქონდა. ამ ფენომენს თანამედროვე სამყაროშიც ვაწყდებით, მაგრამ დღეს ის შენიდბულია ექიმი-ტექნიკოსის ფიგურით, რომელსაც არაფერი სურს იცოდეს იმ წარსულის შესახებ, როცა მკურნალი განასახიერებდა მეტრს. ის ფლობს ცოდნას, მაგრამ ტექნიკის უბრალო გამომყენებელი კი არ არის, პირიქით, მისი პიროვნება განკურნების პროცედურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მესამე ნიშანი ის არის, რომ მკურნალობის პროცესი „თითქმის ყოველთვის საჯაროდ, გარკვეულ კოლექტივში მიმდინარეობს“, მნიშვნელობა ენიჭება დაავადებასა და სოციალურ ჯგუფს შორის არსებულ ფუნდამენტურ კავშირს.

პირველ მინიშნებებს არაცნობიერის ცნების შესახებ ანტიკურ ფილოსოფოსებთან, ასევე მისტიკოსებთანაც ვხვდებით. შედარებით გვიანდელ პერიოდში, 1703 წელს, ტერმინი არაცნობიერი ლაიბნიცმა გამოიყენა. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გერმანელი რომანტიკოსები, ფილოსოფოსები შოპენჰაუერი და ჰარტმანი, ისევე როგორც ამ ეპოქის მეცნიერები, თავიანთ ნაშრომებში ფართოდ იყენებენ არაცნობიერის ცნებას. ამგვარად, იმ დროისათვის, როდესაც ფრონიდი არაცნობიერის შესწავლას იწყებს, ეს სიტყვა არ ითვლება სიახლედ, პირიქით, ის ფრონიდის ეპოქის იდეური სულისკვეთების ნაწილია. მიუხედავად ამისა, არაცნობიერის ფრონიდისული გაება უფრო მეტია, ვიდრე უკვე არსებული ტრადიციის გაგრძელების ან გაღრმავების მცდელობა.

ლაკანი, ეყრდნობა რა ალექსანდრე კოირეს (Alexandre Koyré) შრომებს, მიიჩნევს, რომ თანამედროვე მეცნიერების განვითარება ფსიქოანალიზის მოძღვრების აღმოცენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა.

მეთვრამეტე საუკუნეში დიდი წარმატება ხვდა მესმერის მოძღვრებას. მას ხშირად ფსიქოანალიზის წინამორბედ სისტემად, ანუ ისეთი ბუნდოვანი და იდუმალი ფენომენების ახსნის მცდელობად მიიჩნევენ, რომლებსაც იმ პერიოდში სამეცნიერო დისკურსი მაგისა და რელიგიის სფეროებს მიაკუთვნებდა. ცხოველური მაგნეტიზ-

მის თეორია ცდილობს, რთული ფსიქიკური ფენომენები უხილავი ფიზიკური ფლუიდების რაციონალური კონსტრუქტით ახსნას, რომელიც, თავის მხრივ, იმდროინდელი ფიზიკის ცნებებს – ელექტრობასა და მაგნეტიზმს – ეყრდნობა. მესმერის ერთ-ერთი მიმდევარი, Puységur, ჰიპნოზის გამოყენებას იწყებს და ასკვის, რომ ფაქტორი, რომელსაც თერაპიული ეფექტი აქვს, არის არა მესმერიანული ფლუიდი, არამედ „მაგნეტისტის პიროვნება, მისი ნება“. ჰიპნოზიზმთან ერთად ჩნდება ფსიქიკური პროცესების (ფსიქიზმის) დუალისტური კონცეფცია.

მეცხრამეტე საუკუნეში სწრაფი ტემპით იწყებს ნინსვლას მედიცინა. ბიშას მიერ კვლევის კლინიკურ-ანატომიური მეთოდის შემოღება რევოლუციურ მნიშვნელობას იძენს: საქმე ეხება ცოცხალი ინდივიდში აღნერილ კლინიკურ მანიფესტაციებსა და გვამის გაკვეთის შედეგად გამოვლილ დაზიანებებს შორის კორელაციის აღმოჩენის მეთოდს. მიშელ ფუკ წერს: „ბიშას შემდეგ სამედიცინო ხედვა საკუთარი დერძის ირგვლივ იწყებს ტრიალს, ის სიკვდილს სიცოცხლის ანგარიშს სთხოვს<sup>3</sup>. ამ აქტის შედეგად სხეული, რომელიც მედიცინის კვლევის ობიექტია, სრულიად ახალ მნიშვნელობას იძენს მისთვის, ხოლო მეტყველების, სიტყვის ფუქნცია თვალსაჩინო ცვლილებას განიცდის და სამედიცინო ინტერვიუს ემსგავსება, შესაბამისად, „დაკითხვის“, გამოკითხვის სამედიცინო ჩარჩოში ექცევა.“

ამავე პერიოდში ფილიპ პინელი თანამედროვე ფსიქიატრიას უყრის საფუძველს. თუმცა, მიუხედავად ბევრი მცდელობისა და კამათისა, რამაც ფსიქიატრიულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია, კლინიკურ-ანატომიური მეთოდი, ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, როცა საქმე ეხებოდა ზოგად დამბლას), ფსიქიატრიაში არ გამოიყენებოდა. კლინიკურ-ანატომიურ მეთოდზე უარის თქმამ ფსიქიატრიას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა მედიცინის დარგებს შორის. შეცდომა იქნებოდა

<sup>3</sup> M. Foucault, Naissance de la clinique, PUF, 1963, 3<sup>e</sup> ed. „Quadrige“, 1993. p. 149.

ფსიქოანალიზის ფსიქიატრიის სფეროსთვის მიკუთვნება, ან მისი ფსიქიატრიის ერთ-ერთ მიმდინარეობად თუ ფსიქიატრიის დარგში მომხდარ გადატრიალებად აღქმა. ამავე დროს, შემთხვევითი არ არის, რომ ფსიქოანალიზს ფსიქიატრიასთან და, ზოგადად, მედიცინასთან, როგორიცაა კომპლექსური კავშირი აქვს. მომდევნო თავში ლაპარაკი გვექნება იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმ სპეციფიკური ადგილის განსაზღვრა, რომელსაც ფსიქოანალიზი იკავებს ფსიქიკური ცხოვრების კვლევის საქმეში.

## 2. ჰომილი

### 2.1 ვორმილების ცლები

ფსიქოანალიზის თეორია ანალიტიკური პრაქტიკისაგან განუყოფელია, ის მხოლოდ და მხოლოდ ანალიზის გამოცდილებისა და ფსიქოანალიტიკოსის პირადი ანალიზის შედეგი შეიძლება იყოს, რადგან, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, საქმე ეხება არაცნობიერი სურვილის გადამუშავებისა და გაცნობიერების პროცესს. სინამდვილის სტატუსი ფსიქოანალიზში განსაკუთრებულია. ის ჭეშმარიტების ცნების კლასიკური გაგებისგან განსხვავდება. საქმე ეხება არაცნობიერ სურვილს, როგორც სინამდვილეს, რომლის ფორმულირება გადმოცემის, წარმოთქმის დონეზე შეუძლებელია – ის წარმოთქმულზე არ დაიყვანება; ანალიტიკოსის მუშაობა, პრაქტიკული იქნება ის თუ თეორიული, მიზნად ამ სინამდვილის ცოდნად გარდაქმნას ისახავს. აქედან გამომდინარე, ინტერესი ფრონიდის ბიოგრაფიისადმი, შრომებისადმი, რომლებიც მის ბიოგრაფიას ეძღვნება, მხოლოდ უსაგნო ცნობისმოყვარეობით არ არის განპირობებული; ფრონიდისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული და ისტორიული შრომები ფსიქოანალიზის ფუძემდებლის სურვილის შესახებ მოვითხოობს, უფრო მეტიც, აღნერს იმ მისწრაფებას, რომელიც ფსიქოანალიზის მოძღვრებას დაედო საფუძვლად.

ფრონიდი 1856 წლის 6 მაისს დაიბადა ფრაიბერგში (Freiberg), მორავიაში. მისი მამა, იაკობ ფრონიდი, ამ დროისთვის 41 წლის არის და პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს. მისი მეორე მეუღლე, ამალია, 21 წლის ახალგაზრდა ქალია. ზიგიზმუნდ-შლომო მათი პირველი შვილია. 1856 წელს იაკობის უფროს ვაჟიშვილს უკვე ჰყავს ზიგიზმუნდზე ერთი წლით უფროსი შვილი, ფრონიდის ბავშვობის მეგობარი და კომპანიონი, რომელიც მას ძმისშვილად

ეკუთვნის. 16 წლის ფროიდი თავის სახელს, ზიგიზმუნდს, ზიგ-მუნდად გადააკეთებს. 1859 წელს ფროიდის ოჯახი ტოვებს ფრაი-ბურგს და ლაიფციგში მიემგზავრება, ხოლო 1860 წელს საბო-ლოოდ ფუნქნდება ვენაში, რასაც ხელი შეუწყო რამდენიმე წლით ადრე ავსტრიაში ებრაელების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის დამკავიდრებამ. 1867 წლიდან ვენაში ებრაელებს პოლიტიკური და უფლებრივი თანასწორობა ენიჭებათ.

ფროიდს, რომელიც თავს „ათეისტ ებრაელს“ უწოდებდა, არასდროს უღალატია საკუთარი წარმომავლობისა და ეროვნული კუთვნილებისთვის, რაც იმ დროს ავსტრიაში კარიერის ფა-სად შეიძლება დასჯდომოდა: ნაშრომ „თვითგადმოცემაში“, რომელიც ლაიფციგელი გამომცემლის თხოვნით დაიწერა და გამოიცა, ფროიდი წერს: „ჩემი მშობლები ებრაელები იყვნენ, მეც ებრაელი ვარ“. მართალია, ფროიდის ოჯახის წევრები ხშირად ციტირებდნენ ბიბლიურ ტექსტებს, რომლებსაც ფროიდი ადრეული ასაკიდან კითხულობდა, მაგრამ რელიგიური პრაქტიკა ოჯახში მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

ფროიდი ლიცეუმში ბრნინვალე მოსწავლე იყო. 1873 წელს, ხანგრძლივი ყოველანის შემდეგ, ის ვენის უნივერსიტეტის მედი-ცინის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. „საქემო პრაქტიკისა და ექიმის სტატუსისადმი არც ახალგაზრდობის წლებში განვიცდიდი განსაკუთრებულ ინტერესს და არც შემდგომ პერიოდში, მე უფრო მეტად ცოდნის წყურვილით ვიყავი შეპყრობილი“, – წერს ფროიდი თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში.<sup>4</sup> ის მოწოდებით უფრო ნატუ-რალისტია, ვიდრე მეურნალი და თაყვანს სცემს დარვინს.

ამ პერიოდში ფროიდი ბევრს კითხულობს, დაინტერესებულია ფოიერბახით და მემარცხენე პეგელიანიზმით, ესწრება ბრენტანის ლექციებს არისტოტელეზე, მოგზაურობს ინგლისში, რაც გა-ნაპირობებს მის ღრმა პატივისცემას ინგლისური კულტურისადმი. მოგზაურობიდან დაბრუნებული ფროიდის ინტერესის საგანი ფუნ-

<sup>4</sup> S. Freud, Sigmund Freud présenté par lui-même, 1925.

დამენტური კვლევები უფროა, ვიდრე სამედიცინო პრაქტიკა. ამ წლების განმავლობაში ის მთელ დროს ერნსტ ბრიუკეს ლაბორატორიაში ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის შესწავლას უძღვნის. იოზეფ ბროიერს ფროიდი სწორედ ამ ლაბორატორიაში გაიცნობს. სამხედრო სამსახურის პერიოდში კი ის ჯონ სტიუარტ მილის ესეებს თარგმნის.

1882 წელს ფროიდი გაიცნობს მარტა ბერნეის, შეუყვარდება და რამდენიმე წლის შემდეგ დაქორნინდება მასზე. ამ პერიოდში ფროიდი ნოთნაგელისა და მეინერტის ლაბორატორიებში მუშაობს და კოკაინის სამკურნალო თვისებებს იკვლევს. მისი ფუნდამენტური კვლევები წარუმატებელი არ არის, მაგრამ არც იმდენად აღიარებულია, რომ ამ სფეროში დარჩენისა და კვლევის გაგრძელების ენთუზიაზმი შეუნარჩუნოს. ეს არის პერიოდი, როცა ის ინტენსიურად კითხულობს როგორც დიდ კლასიკოსებს, ისე თავის თანამედროვე მწერლებს. შექსპირი, ლესინგი, გოეთე, შილერი, ლიხტენბერგი, ჰაინრიხ ფროიდის შრომებში ხშირად ციტირებულ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნებიან. 80-იან წლებში ფროიდი ნევროპათოლოგის სფეროში აწარმოებს კვლევას, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ფინანსური პრობლემები ექმნება, რაც აიძულებს, დროებით უარი თქვას ქორწინებაზე და ფსიქიატრიისკენ გადაიხაროს. ერნსტ ბრიუკეს დახმარებით ფროიდი მოიპოვებს სტიპენდიას, რაც მას საფრანგეთში გამგზავრების საშუალებას მისცემს. საფრანგეთში შარკოს შეხვდება და მის მოღვაწეობას გაეცნობა. 1885 წლის ბოლოს ფროიდი პარიზში ჩადის. სალპეტრიერში<sup>5</sup> იგი ნევროპათოლოგად წარადგენს თავს, მაგრამ მისი აღტაცება შარკოს პიროვნებით იმდენად დიდია, რომ ნევროლოგიური კვლევებისადმი თანდათანობით სულ უფრო და უფრო გულგრლი ხდება. ის ესწრება შარკოს მიერ ორგანიზებულ კლინიკურ პრეზენტაციებს, მონაწილეობს

<sup>5</sup> Pitié Salpêtrière – 1656 წელს ლუი მე-14-ის ბრძანებით აგებული თავშესაფარი, რომელიც სხვადასხვა დროს საბატიმეროს დანიშნულებით გამოიყენებოდა. 1882-1892 წლებში ცნობილი ნევროლოგი უან-მარტინ შარკო სალპეტრიერში ისტერიულ პაციენტებს იკვლევდა (მთარგმნ. შენიშვნა).

კონფერენციებში და შარკოს მისი შრომების გერმანულ ენაზე თარგმნას სთავაზობს. შარკოს კლინიკურ პრეზენტაციებზე, რომლებსაც სამედიცინო ელიტა გასართობ სანახაობად აღიქვამდა, ისტერიული პაციენტის სხეული საჯარო ცქერის ობიექტს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია, რომ შარკო ავადმყოფობის სიმპტომებს ჰიპნოზითა და საუბრით მკურნალობდა. შარკოს მეთოდი, ისევე როგორც მისი პრაგმატიზმი და თეორიული კონსტრუქტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, განსაკუთრებით, მისი გამონათქვამები და შენიშვნები, ნამდვილად შთამბეჭდავი იყო, ერთ-ერთ ასეთ გამონათქვამს („*ça n'empêche pas d'exister*“) ფრონდი მოგვიანებით საკუთარი თეორიული კონსტრუქტის დასაბუთებისთვის გამოიყენებს. ამ პერიოდში შარკო ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, ისტერიულ პაციენტებში დამბლის ან ანესტეზიის ლოკალიზაცია სცილდება ორგანული პათოლოგიით გამოწვეული დამბლისა და ანესტეზიისთვის დამახასიათებელ ანატომიურ საზღვრებს და ვრცელდება არა სამედიცინო ანატომიის, არამედ სხეულის შესაბამისი ნაწილის ხალხში დამკვიდრებული ხატის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, შარკო მაინც სამედიცინო ანატომიის ერთგული რჩება და ამავე დროს მიიჩნევს, რომ ჰიპნოზურად პროვოცირებული პათოლოგიური მდგომარეობაა, რომლის გამოწვევაც მხოლოდ ისტერიულ პაციენტებშია შესაძლებელი. ნანსის სკოლის პოზიცია, რომელსაც იმ დროისათვის ლიებოლტის მოსწავლე ბერნჰეიმი ხელმძღვანელობდა, შარკოს შეხედულებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ბერნჰეიმის აზრით (რომელიც ჰიპნოზს არა მხოლოდ კვლევითი, არამედ თერაპიული მიზნებითაც იყენებდა), ჰიპნოზის მთავარ მამოძრავებელ ძალას შთაგონება წარმოადგენს. 1889 წელს ნანსიში ვიზიტის დროს ფრონდები ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენს ამ სკოლის გავლენით მიღებული გამოცდილება.

## 2.2 პვლევები ისტორიის შესახებ

1886 წელს ფრონდი ბრუნდება ვენაში, ქორწინდება მარტაზე და ხსნის კაბინეტს, სადაც პაციენტებს ელექტროთერაპიისა და ჰიპნოზის მეთოდებით მკურნალობს, თუმცა მკურნალობის ძირითად მეთოდად მას მხოლოდ ჰიპნოზი მიაჩნია, რომლის ეფექტურობაშიც შარკოს კლინიკური პრეზენტაციების გავლენით დარწმუნდა. ვენაში დაბრუნების შემდეგ ფრონდი შარკოსა და ბერნჰეიმის შრომებს გერმანულ ენაზე თარგმნის. კარიერის დასაწყისში ფრონდისთვის ფსიქიკური ცხოვრების კვლევის უმთავრესი ორიენტირება, ერთი მხრივ, ჰიპნოზის თერაპიული მიზნებით გამოყენება ნანსის სკოლის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ერთი კლინიკური შემთხვევა მისი კოლეგისა და მეგობრის, ბროიერის პრაქტიკიდან – ისტერიული პაციენტი, რომელსაც ბროიერი 1880-1882 წლებში მკურნალობდა. ბროიერი ფრონდს ამ პაციენტთან მუშაობის შედეგად მიღებულ კლინიკურ გამოცდილებას უზიარებს.

### ♦ ანა ო.

ფრონდი ბროიერს ისტერიის შესახებ ერთობლივი ნაშრომის გამოცემის მიზანშეწონილობაში არწმუნებს.<sup>6</sup> ნაშრომი, რომელშიც ბროიერის მიერ პაციენტ ანა ო.-სთვის ჩატარებული თერაპიული პროცესია აღწერილი, 1895 წელს გამოიცა. ეს გამოცდილება იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ თავის ნარკვევში „ფსიქოანალიზის შესახებ“ (1910 წ.) ფრონდი ფსიქოანალიზის დაბადებას სწორედ ბროიერის დამსახურებად მიიჩნევს.

ამ ახალგაზრდა ქალის ვინაობა დღეს ყველასთვის ცნობილია. საქმე ეხება ბერტა პაპენჰაიმს, რომელმაც გერმანიაში თავისი საზოგადოებრივი საქმიანობითაც გაითქვა სახელი. ბროიერი ანა ო.-ს აღნერს, როგორც მომხიბლავ, გონიერ, ძლიერი ნებისყოფისა და განვითარებული წარმოსახვის მქონე პიროვნებას. ის ოჯახში მოკრძა-

<sup>6</sup> S. Freud, J. Breuer, Etudes sur l'hystérie, 1885.

ლებული პოზიციით გამოირჩევა და ხშირად თავს წარმოსახვისა და ოცნების სამყაროს აფარებს, რომელსაც „საკუთარ, კერძო თეატრს“ უწოდებს. ანა ო.-ს ნევროზი, სხვადასხვა აშლილობის სახით, პირველად მამამისის მძიმე ავადმყოფობის პერიოდში ვლიდნება. ის უკიდურესად მიჯაჭულია მამაზე. ავადმყოფობის დროს ქალიშვილი სწეულ მამას ლამებს უთევს. ბროიერთან ორწლიანი მკურნალობის განმავლობაში ანა ო. ისეთი სიმპტომებით იტანჯება, როგორებიცაა: ხველა, მხედველობის ფუნქციის დარღვევები, დამბლა, ლოკალური ანესთეზიები, მუტიზმი და ა.შ. ბროიერის სიმპტომებზე მიმართული ინტერვენციები წარმატებული აღმოჩნდა. ამ პაციენტთან ის ხშირად იყენებს ჰიპნოზის მეთოდს, მაგრამ ამავე დროს აღმოაჩენს, რომ სიმპტომი მაშინ ქრება, როდესაც პაციენტი მისი აღმოცენების პერიოდს, სიმპტომის პირველი მანიფესტაციის მომენტს იხსენებს. ამ შემთხვევით აღმოჩენას ბროიერი წამდვილ თერაპიულ ტექნიკად გარდაქმნის, რომელიც პაციენტისაგან სიმპტომის ფორმირების პერიოდის გახსენებას მოითხოვს. ამ პროცედურას, რომელსაც პაციენტი „საუბრით მკურნალობას“ (talking cure) უწოდებს, თავად ბროიერი კი – „კათარზისულ მეთოდს“, ის რეგულარულად იყენებს ანა ო.-ს მკურნალობის დროს. ბროიერი აღარ მიმართავს სუგესტიას და პაციენტს თავისუფლად ლაპარაკის შესაძლებლობას აძლევს, ანუ მკურნალობის პროცესს პაციენტი, გარკვეული თვალსაზრისით, თავად მართავს. „საუბრით მკურნალობის“ ამ მეთოდს ფსიქოანალიზს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წინ უსწრებს ფსიქოანალიზს, მის წინამორბედად გვევლინება. აღსანიშნავია, რომ ფსიქოანალიზს საფუძველი ჩაუყარა მეთოდმა, რომელიც ექიმის კი არა, პაციენტის მიერ იყო ინიცირებული. ფრონდის მოღვაწეობისთვის ნიშანდობლივია სწორედ პაციენტის, მისი დისკურსის სერიოზულად აღქმა, რაც მანამდე უარყოფილი იყო წინასწარ შემუშავებული განწყობისა და წარმოდგენების გამო. ისტერიის სექსუალურ ეტიოლოგიასთან დაკავშირებით ფრონდი იხსენებს, რომ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ამ ჰიპოთეზას შეიმუშავებდა, მან სამედიცინო წრებში უაღრესად დაფასებული სამი პიროვნებისაგან შეიძინდა.